დასკვნა:**დ03.37213611**
თარიღი:**27/12/2021**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 27 დეკემბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი.

კომისიებისა და ფრაქციის მიერ მიმდინარე წლის 24 ნოემბერს წარმოდგენილი შენიშვნების, წინადადებების, რეკომენდაციებისა და დასკვნების შეჯერების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე დასკვნა, რომელიც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ქვემოთ მოცემული სახით:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები განსაზღვრულია 27 814,0 ათასი ლარით და იგი 2021 წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიური დონის 110,8%-ია. ბიუჯეტის შემოსავლების აკუმულირება დაგეგმილია შემდეგი წყაროებიდან: 1)გადასახადები-24503,2 ათ ლარი; 2)სხვა შემოსავლები-2630,8 ათ. ლარი; 3)გრანტები-280,0 ათ. ლარი; არაფინანსური აქტივების კლება-400,0 ათ. ლარი. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის შემოსავლების 88% მოდის გადასახადებზე, მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადზე 66,1%, ხოლო ქონების გადასახადზე 21,9%. გრანტებიდან მისაღები შემოსავლების წილი განსაზღვრულია 1%-ით.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით საბიუჯეტო ასიგნებების საერთო რაოდენობა 24089.7 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის:

-შრომის ანაზრაურება 4028,5 ათ. ლარი ანუ მთლიანი ასიგნებების 16,7%

-საქონელი და მომსახურება 3053,1 ათ. ლარი ანუ მთლიანი ასიგნებების 12,7%

-სუბსიდიები 13288,0 ათ ლარი ანუ მთლიანი ასიგნებების 55,2%

-გრანტები 1265,0 ათ ლარი ანუ მთლიანი ასიგნებების 5,3%

სოციალური უზრუნველყოფა 1233 ათ. ლარი ანუ მთლიანი ასიგნების 5,1%

სხვა ხარჯები 1127,0 ათ. ლარი ანუ მთლიანი ასიგნებების 4,7%.

არაფინანსური აქტივების ზრდაზე განსაზრვრულია 3609,4 ათასი ლარის წარძართვა და მისი ხვედრითი წილი 2022 წლის ბიუჯეტში შეადგენს 13%-ს.

ბიუჯეტის პროექტში სარეზერვო ფონდის ოდენობა არ სცილდება მოქმედი კანონით განსაზღვრულ სიდიდეს და მისი ოდენობა განსაზღვრულია 350,0 ათასი ლარით.

3. 2022 წლის ბიუჯეტში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების

დაფინანსების რაოდენობა განსაზღვრულია 5924,0 ათ. ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 898,0 ათასი ლარით მეტია; საბინაო კომუნალური მეურნეობა დაფინანსდება 2580,0 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 950,0 ათასი ლარით აჭარბებს; სკოლამდელი განათლების დასაფინანსებლად გაანგარიშებულია 5170,0 ათასი ლარი, რაც 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 670,0 ათასი ლარით მეტია. 2021 წელთან შედარებით დასვენებისა და სპორტის სფეროში დაიხარჯება 130,0 ათასი ლარით მეტი, ხოლო კულტურის სფეროში კი 104,0 ათასი ლარით მეტი. სოციალური დაცვის მიმართულებით ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულია 984,0 ათსი ლარის ხარჯი, რაც 32,0 ათასი ლარით მეტია მიმდინარე წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

ვალდებულებების კლების (მგფ-ის სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი განისაზღვრება 114,9 ათ. ლარის ოდენობით;

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, წინამდებარე დასკვნის მომზადების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბიუჯეტის მიმართ დაფიქსირებული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მერიის მიერ გათვალისწინების თუ არგათვალისწინების ანალიზს. აღმოჩნდა, რომ მერმა გაითვალისწინა შენიშვნების ნაწილი სრულად ან ნაწილობრივ. ასე მაგალითად:

- დაფინანსდა სოციალური საწარმოს პროექტის განხორციელების იდეა;

  დაზუსტდა და პროგრამულ ფორმატს დაუახლოვდა წარმოდგენილი 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი;

  პრიორიტეტების დოკუმენტში აისახა პროგრამების (ქვეპროგრამების) ინდიკატორები და მახასიათებლები, რომლებიც ძირითადად იძლევა საშუალებას შეფასდეს პროგრამის შუალედური და საბოლოო შედეგი, თუმცა, განსახორციელებელი პროექტების საბოლოო და შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები, განსაკუთრებით ხარისხობრივ მაჩვენებელში, უფრო სრულყოფილი სახით შეიძლებოდა ასახულიყო ბიუჯეტის პროექტში.

  2022 წლის ბიუჯეტის პროექტის თანმხლებ გადასახდელების ცხრილში წარმოდგენილი ხარჯები გაწერილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანებით გათვალისწინებული კლასიფიკაციის მიხედვით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ იმსჯელა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტის პროექტზე და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი